საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე – კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი – კოლეგიის წევრი

მომართვის ავტორი: შსს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის პირველი განყოფილების უფროსი პოლიციის ვიცე პოლკოვნიკი ზ. ო.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 22.03.2019

საჩივრის რეგისტრაციის N039/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ხ. გ.-ს მიმართ /სიითი N/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ხ. გ.-სთვის ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **მომართვის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 22 მარტს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა შსს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის პირველი განყოფილების უფროსმა პოლიციის ვიცე პოლკოვნიკმა ზ. ო.-მ და მოითხოვა ადვოკატ ხ.

გ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 მომართვის ავტორის განცხადებით, 2019 წლის 18 მარტს, მინდობილობის საფუძველზე მოქალაქე მ. მ.-გ.-ის სახელით, შსს ქ. თბილისის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის I განყოფილებას განცხადებით მიმართა ადვოკატმა ხ. გ.-მ და მოითხოვა კლიენტის - მ. მ.-გ.-ის შვილის ყოფილი მეუღლის, ნ. ა.-ს მიმართ შემაკავებელი ორდერის გამოცემა.

1.3 მომართვის ავტორის განმარტებით, განცხადებაში მოყვანილი ფაქტების ირგვლივ გასაუბრების მიზნით, პოლიციის ადმინისტრაციულ შენობაში გამოცხადდა მ. მ.-გ. წარმომადგენელთან, ადვოკატ ხ. გ.-სთან ერთად, 2019 წლის 21 მარტს.

1.4 მომართვის ავტორის განცხადებით, ადვოკატი ხ. გ. გასაუბრების ოქმის შედგენისას ხმამაღალი და ემოციური საუბრის გამო არაერთხელ გააფრთხილეს სიტყვიერად, რომ ემოქმედა კანონის ფარგლებში და ადმინისტრაციულ შენობაში დაეცვა წესრიგი, თუმცა იმ მოტივით, რომ აღშფოთებული იყო თავისი მარწმუნებლის უფლებების შელახვის გამო, ის არაკორექტულ მიმართვებს იყენებდა პოლიციის თანამშრომლების მიმართ, რაც საჯარო მოხელისთვის განსაზღვრული თმენის ვალდებულებით იქნა დათმენილი.

1.5 მომართვის ავტორის განცხადებით, ხ. გ. თავის მარწმუნებელს მ. მ.-გ.-ს კატეგორიულად მოუწოდებდა გაეზვიადებინა ფაქტები და ნ. ა.-სთან მომხდარი ინციდენტი დაემძიმებინა. კერძოდ, გასაუბრების ოქმის შედგენის დროს, თავისი მარწმუნებლისთვის დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემას თავად ცდილობდა იმ გარემოებებზე, რომლის უშუალო შემსწრე და თვითმხილველიც არ ყოფილა.

1.6 მომართვის ავტორის განმარტებით, ძალადობის ფაქტის დადგენის მიზნით მნიშვნელოვანი იყო გაერკვიათ ჰქონდა თუ არა მ. მ.-გ.-ს რეალური შიში მისი შვილის ყოფილი მეუღლის, ნ. ა.-ს მიმართ, რაზეც მ. მ.-გ.-ის პასუხზე, რომ საფრთხეს არ გრძნობდა და სურდა აეხსნა, რომ ეს იყო მხოლოდ კონფლიქტი, ხ. გ. აღშფოთდა და მარწმუნებელს მოსთხოვა დაემძიმებინა ვითარება და ეთქვა, რომ ნ. ა. მისთვის საფრთხეს წარმოადგენდა, გადაეხადა მისთვის სამაგიერო იმის გამო, რომ წარსულში ნ. ა.-მ მ. მ.-გ.-ის შვილის მიმართ გამოაცემინა შემაკავებელი ორდერი.

1.7 მომართვის ავტორის განმარტებით, მიუხედავად ხ. გ.-ს მარწმუნებლის არაერთი თხოვნისა, რომ მომხდარიყო მხოლოდ რეალური ფაქტების განმარტება, ადვოკატი ხელოვნურად ცდილობდა ფაქტების გაზვიადებას.

2. ადვოკატის მოწმის პოზიცია:

2.1 ადვოკატ ხ. გ.-ს მოწმემ, მისმა მარწმუნებელმა მ. მ.-გ.მ 2019 წლის 10 აპრილს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში წარმოადგინა საკუთარი პოზიცია, სადაც განმარტა, რომ 2019 წლის 18 მარტს მის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე ადვოკატი ხ. გ. იცავდა მის უფლებებსა და ინტერესებს შსს პოლიციის განყოფილებაში, გამოკითხვის დროს.

2.2 ადვოკატის მოწმის განცხადებით, მომართვის ავტორს მომართვაში მითითებული აქვს მცდარი ფაქტები. კერძოდ, შემაკავებელი ორდერის გამოცემის მოთხოვნით შსს ქ. თბილისის

დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის I განყოფილებას განცხადებით მიმართა თავად, ხოლო ადვოკატი ხ. გ. განცხადებას ხელს აწერს, როგორც მისი ადვოკატი.

2.3 ადვოკატის მოწმის განმარტებით, ხ. გ.-მ, როგორც მისმა მინდობილმა პირმა, ადვოკატთან ხელშეკრულებით მომუშავე კურიერის საშუალებით მის მიერ აღწერილი ფაქტებისა და გარემოებებით დაწერილი და ხელმოწერილი განცხადება წინასწარ გაგზავნა პოლიციაში.

2.4 ადვოკატის მოწმის განმარტებით, 2019 წლის 21 მარტს პოლიციის ადმინისტრაციულ შენობაში გასაუბრების ოქმის შედგენისას ქაოსი შექმნეს პოლიციის თანამშრომლებმა, ვინაიდან ოქმის შედგენაში მონაწილეობას იღებდა დაახლოებით 10-12 კაცი, ისინი ერთდროულად საუბრობდნენ. არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, ადვოკატ ხ. გ.-ს მოუწია ხმამაღლა ეთხოვა, რომ მას არ ესმოდა და არ შეეძლო ერთდროულად ესაუბრა თორმეტ და მეტ ადამიანთან. მოუწოდებდა, რომ სათითაოდ მიემართათ, რათა მშვიდად მოეყოლათ მომხდარის შესახებ.

2.5 ადვოკატის მოწმის განმარტებით, ხ. გ.-ს მხრიდან ფაქტების გაზვიადებას და დამძიმებას ადგილი არ ჰქონია და მომხდარი ფაქტების სიმძიმე ისედაც საკმარისი იყო რეაგირების მოსახდენად, ვინაიდან მოწინააღმდეგე მხარის, ნ. ა.-ს, მხრიდან ადგილი ჰქონდა მის მიმართ არაეთიკურ და უწმაწურ მიმართვებს. სიტუაციას ამძიმებს ის გარემოება, რომ შეურაცხყოფას ადგილი ჰქონდა 6 წლის ბავშვის თანდასწრებით. ანალოგიურ დამოკიდებულებას ჰქონდა ადგილი ნ. ა.-ს მამის, გ. ა.-ის, მხრიდანაც.

2.6 ადვოკატის მოწმის განცხადებით, პოლიციამ არ მისცა მას და მის ადვოკატს ხ. გ.-ს საკუთარი პოზიციების დაცვის საშუალება. გარდა ამისა, პოლიციის მხრიდან ადგილი ჰქონდა ცინიკურ დამოკიდებულებას, აინტერესებდათ მისი შვილის გ. მ.-ის კუთვნილი იარაღის ბედი, კერძოდ ზ. ო.-მ მას მიმართა შემდეგი სიტყვებით - „კარგი იარაღია, გადაიფორმეთ რომელიმე ოჯახის წევრმა და ხომ არ მოგვყიდით“.

2.7 ადვოკატის მოწმის განცხადების, გასაუბრების ოქმის შედგენის დროს, დაახლოებით 10-12 კაცი, მათ შორის ზ. ო., ცდილობდნენ მასზე მოეხდინათ გავლენა, რათა უკან გაეხმო საჩივარი, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა გაეცათ შემაკავებელი ორდერი, რაც ნ. ა.-ს პირადი ცხოვრებისთვის იქნებოდა ცუდი.

2.8 ადვოკატის მოწმის განცხადებით, მისი და მისი ადვოკატის ხ. გ.-ს შეკითხვაზე, რატომ იმოქმედეს გ. მ.-ის მიმართ უხეშად და უკანონოდ, პასუხოდნენ, რომ მიემართათ სასამართლოსთვის, შესაბამისად, ყველანაირი ზეწოლის მეთოდებს იყენებდნენ, რათა მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილებულიყო.

2.9 ადვოკატის მოწმის განცხადებით, მას არანაირი პრეტენზია არ გააჩნია მისი ადვოკატის ხ. გ.-ს მიმართ.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

3.1 ადვოკატი ხ. გ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია – საერთო სამართალი.

3.2 შსს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის პირველი განყოფილების უფროსმა პოლიციის ვიცე პოლკოვნიკმა ზ. ო.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 22 მარტს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2019 წლის 21 მარტს. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ხ. გ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი ხ. გ., როგორც მ. მ.-გ.-ის წარმომადგენელი, 2019 წლის 21 მარტს, შსს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის I განყოფილებაში, გასაუბრების ოქმის შედგენისას, არ მოქმედებდა კანონის ფარგლებში და არ იცავდა წესრიგს; იყენებდა არაკორექტულ მიმართვებს პოლიციის თანამშრომლების მიმართ; ამასთან, ადვოკატი კატეგორიულად მოუწოდებდა საკუთარ კლიენტს გაეზვიადებინა ფაქტები, არ აცდიდა საუბარს და მის მაგივრად ცდილობდა კითხვებზე პასუხის გაცემას.

5.2 საჩივრის ავტორის პრეტენზიასთან დაკავშირებით საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები;

5.2.2 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი: ,,ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით“.

5.3 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული

დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას.“

5.4 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადვოკატს უფლება აქვს წარმოადგინოს და დაიცვას კლიენტი, მისი უფლებები და თავისუფლებები საკონსტიტუციო, უზენაეს და საერთო სასამართლოებში, არბიტრაჟში და გამოძიების ორგანოებში, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან.

5.5 პროფესიული საქმიანობისას ადვოკატმა უნდა დაიცვას პროფესიული ღირებულებები, კლიენტსა და ადვოკატს შორის ურთიერთობის მოწესრიგებული სახით წარმართვისთვის, დაიცვას საქმისმწარმოებელ ორგანოში ქცევის წესები და იზრუნოს ადვოკატის სტატუსის მიმართ საზოგადოების ნდობის შენარჩუნებისა და ამაღლებისთვის. კლიენტის დაცვის პროცესში ადვოკატი უფლებამოსილია კლიენტთან შეთანხმებული სტრატეგიით კანონით გათვალისწინებული საშუალებებით დაიცვას კლიენტი.

5.6 ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და არ მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს მის ინტერესებს. დამკვიდრებული პრაქტიკით, ადვოკატის მიერ განხორციელებულ მომსახურებას, როდესაც ადვოკატი მოქმედებს კლიენტის კანონიერი მითითებების ფარგლებში და მასთან შეთანხმებული სტრატეგიით ეთიკის კომისია არ ამოწმებს, რადგან ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებლობა სწორედ მის მიერ კანონმდებლობის ფარგლებში კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებაში ვლინდება.

5.7 საჩივარი უკავშირდება ადვოკატის ქცევას, რაც საჩივრის ავტორის შეფასებით, გამოიხატა შემდეგ ფაქტებში: ადვოკატი ხ. გ. არ აცდიდა კლიენტს საუბარს, ცდილობდა დაემახინჯებინა ფაქტები და გაზვიადებული ფორმით წარმოედგინა ისინი. საჩივრით დგინდება, რომ ადვოკატი ხ. გ. წარმოადგენდა კლიენტს, მათ შორის, საგამოძიებო ორგანოში. შესაბამისად, ადვოკატი უფლებამოსილი იყო მიეღო მონაწილეობა მის კლიენტთან გამომძიებლის გასაუბრებისას და დაეცვა კლიენტის ინტერესები. კომისია არ იზიარებს საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ადვოკატ ხ. გ.-ს ქცევა, როდესაც იგი წარმოადგენდა კლიენტის ინტერესებს გამოკითხვის დროს და ერთვებოდა საუბარში, უნდა შეფასდეს არაეთიკურად, რადგან ადვოკატის პროფესიული როლი მოითხოვს კლიენტის დაცვისას მასზე ორიენტირებულ ქცევას და კლიენტის მიერ ადვოკატის საქმეში ჩართულობის მიზანია ის უნარ-ჩვევები და ცოდნა, რომელიც აკლია მას, ადვოკატმა გამოიყენოს მისი წარმომადგენლობის პროცესში. თავად ადვოკატ ხ. გ.-ს კლიენტი, რომლის პოზიციაც არსებითია, ვინაიდან ადვოკატის არაეთიკური ქცევით შესაძლოა მას მისდგომოდა ზიანი, 2019 წლის 10 აპრილს ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ განმარტებაში უარყოფს პრეტენზიის ქონას ადვოკატის მიმართ. კლიენტი უთითებს, რომ გამოკითხვის დროს ადვოკატი იცავდა მის ინტერესებს და მოქმედებდა კლიენტთან შეთანხმებით.

5.8 კლიენტის მსჯელობიდან გამომდინარე, ადვოკატი მათ შორის შეთანხმებული ტაქტიკით მოქმედებდა და უფლებამოსილი იყო კლიენტის მითითებები შეესრულებინა, რაც არათუ ეწინააღმდეგება, პირიქით, შეესაბამება პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის სტანდარტს.

5.9 საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ ხ. გ. მარწმუნებელს არ აცდიდა პასუხის გაცემას, თუმცა ზ. ო.-ს განცხადებაში არ აქვს მითითებული იმის შესახებ, რომ მარწმუნებლის მხრიდან დაფიქსირდა რაიმე პროტესტი ადვოკატის მიმართ. თუ მარწმუნებელი პოლიციის შენობაში გასაუბრების პროცესში უარყოფდა ან სწორად არ მიიჩნევდა ადვოკატის მოხსენებას, იგი ამის თაობაზე მაშინვე განაცხადებდა. ვინაიდან მსგავს პროტესტს ადგილი არ ჰქონია, შეუძლებელია უპირობოდ იმის თქმა, რომ ადვოკატი კლიენტის ნების გარეშე აფიქსირებდა განსხვავებულ პოზიციას.

5.10 ეთიკის კომისია მიუთითებს, რომ მომჩივანი მხარის სამართლებრივ მოვალეობას წარმოადგენს ამტკიცოს და დაასაბუთოს ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა შესახებაც საჩივარში უთითებს. საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია რაიმე სახის მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ადვოკატის მიერ ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის პირველი განყოფილების თანამშრომელთა მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს.

5.11 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის 32–ე და 33–ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N039/19 არ აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ ხ. გ.-ის /სიითი №/ მიმართ.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/